კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	სამაგისტრო პროგრამა "ფარმაცია"
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	ფარმაციის მაგისტრი
ფაკულტეტის დასახელება	მედიცინის ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/კოორდინატორი	პროფ. მიხეილ სამსონია
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი (120 ECTS კრედიტი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები	სამაგისტრო პროგრამაზე მიღება ხორციელდება 2009 წლიდან. პროგრამა განახლდა 2011 და 2015 წლებში (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №80, 19.04.2012, აკადემიური საბჭოს დადგენილება №28(19/20), 16.12.2019

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

სამაგისტრო პროგრამა „ფარმაცია"-ზე სტუდენტის დაშვების წინაპირობებია:

- ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
- საუნივერსიტეტო კომპლექსურ გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღება (51%-იანი ბარიერის დაძლევა).

კომპლექსური გამოცდა ტარდება ტესტირებით და მოიცავს ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების (ფარმაცევტული ტექნოლოგია; ფარმაკოლოგია; სოციალური ფარმაცია, ფარმაცევტული ბიზნესის მენეჯმენტი და მარკეტინგი; ფარმაცევტული ქიმია; ფარმაკოგნოზია) საკვანძო საკითხებს.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ასევე, შიგა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება No10/ნ - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული დადგენილება (№12 (17/18) – „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ".

მაგისტრატურაში სწავლების უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს (ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონეს) "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

პროგრამის მიზნები

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე, კონკურენტუნარიანი ფარმაციის მაგისტრი, რომელსაც ექნება როგორც ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების ღრმა და სისტემური ცოდნა, ასევე ფარმაცევტულ სექტორში პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო უნარებიც:

1. მრავალკომპონენტიანი სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივ ანალიზის ჩასატარებლად (წამლის ვარგისიანობის დადასტურების მიზნით);
2. მზა წამალთფორმების სერიული წარმოებისათვის;
3. წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო სისტემების და ფარმაკოზედამხედველობის სამსახურის „სასიცოცხლო" ფუნქციების შესაფასებლად;
4. სააფთიაქო ნარკომანიისა და ტოქსიკომანიის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად;
5. ძლიერი კონკურენციის პირობებშიც კი, დამოუკიდებლად, საკუთარი ფარმაცევტული ბიზნესის დასაწყებად და განსავითარებლად;

6. ავტორიზებული აფთიაქის და ფარმაცევტული პროფილის ნებისმიერი დაწესებულების მართვა/ხელმძღვანელობისათვის; 7. ფარმაკოლოგიური საშუალებების ან ფარმაკოთერაპიული სქემების ეფექტურობის შესაფასებლად (კონკრეტულ დაავადებასთან მიმართებაში); 8. კლინიკურ კონტექსტში მოსახლეობის მხარდასაჭერად (ძირითადი ვექტორით ,,პაციენტი ფოკუსში"); 9. ფარმაციის სფეროში კვლევის განსახორციელებლად (მეცნიერული კეთილსინდისიერების დაცვით).	
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	
სამაგისტრო პროგრამა ქმნის მყარ საფუძველს შემდგომ საფეხურზე – დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად.	
სწავლის შედეგები ***ფარმაციის მაგისტრს შეუძლია:***	
ცოდნა და გაცნობიერება	1.1 ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირება; 1.2 ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო სისტემების, ფარმაცევტული დაწესებულებების ფუნქცია-მოვალეობების და სახელმწიფოს მხრიდან, ფარმაცევტული პროფილის დაწესებულებებზე, უწყვეტ რეჟიმში, მკაცრი ფარმაკოზედამხედველობის მნიშვნელობის გააზრება (მოსახლეობის ეფექტური და უსაფრთხო ფარმაცევტული პროდუქციით უზრუნველყოფის მიზნით).
უნარები	2.1. ფარმაკოლოგიაში, კლინიკურ და სოციალურ ფარმაციაში უახლესი მიღწევების გათვალისწინებით, კვალიფიციური ფარმაცევტული დახმარების ორგანიზება (კლინიკურ კონტექსტში მოსახლეობის მხარდაჭერა ძირითადი ვექტორით ,,პაციენტი ფოკუსში"); 2.2. ექიმის მიერ დანიშნული ფარმაკოლოგიური საშუალებების მოქმედების დიაპაზონის განსაზღვრა; მათი გვერდითი ეფექტების პროგნოზირება; ფარმაკოთერაპიული სქემების ეფექტურობის შეფასება; გართულებების ნიველირება/თავიდან აცილება; თავსებადობის გათვალისწინება (მედიკამენტების კომბინირებისას) და მეცნიერულად საკუთარი პოზიციის დასაბუთება; 2.3. განახორციელოს მრავალკომპონენტიანი სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი (წამალთა ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენებით); მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის სტანდარტიზაცია და ფარმაკოგნოსტული ანალიზი; 2.4. როგორც მყარი და რბილი წამლის ფორმების, ასევე ასეპტიკურ პირობებში, სტერილური, საინექციო (საინფუზიო) ხსნარების დამზადება (შესაბამისი გამოთვლების და ტექნოლოგიური სტადიების თანმიმდევრობის დაცვით) და მომზადებული წამლის ფორმების კეთილხარისხოვნების შემოწმება (შიგა სააფთიაქო კონტროლი); 2.5. ფარმაციის სფეროში კვლევის დაგეგმვა, განხორციელება, აკადემიურ დონეზე ანგარიშის წარდგენა როგორც მშობლიურ, ასევე ერთ-ერთ უცხო ენაზე ლაბორატორიული დაკვირვებებისა და გაზომვების შედეგების სწორი ინტერპრეტაციით; 2.6. მოახდინოს ფარმაცევტული დაწესებულების მენეჯმენტის ობიექტური შეფასება და იმსჯელოს მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიაზე; საფუძველი ჩაუყაროს და დამოუკიდებლად მართოს საკუთარი ფარმაცევტული ბიზნესი (მაგ., ავტორიზებული აფთიაქი, ფარმაცევტული პროფილის საწარმო), კანონით განსაზღვრული რეგულაციების სრული დაცვით.
პასუხისმგებლობა და	3.1 ჯეროვნად გაიაზროს ის მაღალი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება

ავტონომიურობა	მას ფარმაცევტულ სექტორში პროფესიული საქმიანობის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ძლიერმოქმედი, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ანალგეზიური სამკურნალო საშუალებების აღრიცხვას, დოზების შემოწმებას და გაცემას; 3.2 დამოუკიდებლად, ფარმაციის სფეროში მიმდინარე პროცესების შესწავლა, სასწავლო პროცესის ორგანიზება, ცოდნის გაღრმავება და კოლეგების - ფარმაცევტების პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება.

სწავლების მეთოდები

ინტერაქტიური ლექციები (ვიზუალური მასალის გამოყენებით); კვლევითი სემინარები; დისკუსია/დებატები; საკვლევ პრობლემაზე ჯგუფური მუშაობა და პროცესის ანალიზი; გონებრივი იერიში (Brain Storming); პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); შემთხვევის ანალიზი – (Case study); ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი; წერითი მუშაობის მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი.

პროგრამის სტრუქტურა

ფარმაციის მაგისტრის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 წლით, ითვალისწინებს 120 კრედიტის ათვისებას და სამაგისტრო ნაშრომის დაცვას (იხ. დანართი 1). კურიკულუმი აგებულია 4 სემესტრზე. მაქსიმალური კვირეული დატვირთვა არ აღემატება 18 სთ–ს. მაგისტრატურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა ხორციელდება შემდეგი პროფილური მიმართულებებით:

- ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაცია;
- სოციალური ფარმაცია, ფარმაკოეკონომიკა, ფარმაცევტული ბიზნესის მენეჯმენტი და მარკეტინგი;
- ფარმაცევტული ტექნოლოგია;
- ფარმაკოგნოზია;
- ფარმაცევტული ქიმია, სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი და სტანდარტიზაცია;
- ტოქსიკოლოგიური ქიმია, სასამართლო – სამედიცინო ექსპერტიზა, კრიმინალისტიკა.

მაგისტრანტი აღნიშნული მიმართულებებიდან სამაგისტრო თემას ირჩევს მაგისტრატურის მე–2 კურსზე (60 კრედიტის ათვისების შემდეგ) და ხელმძღვანელთან ერთად აყალიბებს კვლევის მიზანსა და ამოცანებს. სამაგისტრო თემის და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს მიერ სამეცნიერო კვლევის გეგმის ანალიზის საფუძველზე. ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ასოცირებული პროფესორის სტატუსი და სამეცნიერო–მეთოდური მუშაობის გამოცდილება, რაც დასტურდება გრიფით და პუბლიკაციებით **სამედიცინო ან ფარმაცევტული პროფილის საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში.** მაგისტრანტი, დიპლომის დაცვაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმატებით აითვისებს კურიკულუმით განსაზღვრული დისციპლინების შესწავლისათვის განკუთვნილ 90 კრედიტს და მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებულ დარგობრივ სამაგისტრო კომისიაში (დაცვამდე სულ მცირე ერთი თვით ადრე) განსახილველად წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომს (რეცენზიასთან ერთად). რეცენზენტს ირჩევს მაგისტრანტის ხელმძღვანელი. ის შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი, ასევე მოწვეული სპეციალისტიც (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №785 (05.01.2007), №3 (21.09.2009) და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებით (№12; 30.10.2009; დადგენილება№35; 10.11.2010, № 1, 17/18 15.09. 2017)) განსაზღვრული პრინციპებით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:

ა) შუალედურ შეფასებებს, რაც თავის მხრივ, მოიცავს ლექცია-პრაქტიკულებზე სტუდენტის დასწრებისა და ყოველდღიური აკადემიური აქტიურობის კომპონენტს (გამოკითხვა, დისკუსია, ტესტირება, პრეზენტაცია, ესსე), ტუტორიალზე გამოჩენილ აქტიურობას, პრაქტიკული უნარების შეფასებას და მიმდინარე შუალედურ შეფასებას. შუალედური შეფასება შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა კომპონენტებსაც.

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის მინიმალური კომპეტენციის

ზღვარი (შუალედური შეფასებების კომპონენტებში) ჯამურად შეადგენს **არანაკლებ 18 ქულას** იმ პირობით, რომ მას არ აქვს გაცდენილი საკონტაქტო საათების რაოდენობის 50%–ზე მეტი.

სასწავლო კურსის/მოდულის/საგნობრივი ბლოკის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა. შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: ტესტური, ზეპირი ან კომბინირებული შემაჯამებელი გამოცდა, OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა.

არსებობს ხუთი სახის დადებითი და ორი სახის უარყოფითი შეფასება.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა.) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ.) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ.) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ.) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე.) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა.) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ.) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 20 ქულით.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

სამაგისტრო დარგობრივი კომისია, სამაგისტრო ნაშრომის (30 კრედიტი) შეფასებისათვის იყენებს 100 ქულიან სისტემას, რომელიც ნაწილდება რამდენიმე კომპონენტზე. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცედურა განსაზღვრულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 10.06.2011 წლის N112 დადგენილებით „სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების/წარდგენის გზამკვლევის დამტკიცების შესახებ“; სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომის ფორმალური მხარე (სტანდარტთან შესაბამისობა):	**10**
ნაშრომის შინაარსობრივი მხარე	**60**
• *თემის აქტუალურობა*	*20*
• *შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობა (სამეცნიერო ღირებულება)*	*20*
• *საინფორმაციო რესურსების გამოყენება*	*5*
• *შეგროვებული მონაცემების ან მიღებული შედეგების ანალიზის ხარისხი, სამეცნიერო კვლევის დროს გამოყენებული ან შემუშავებული მეთოდების ადეკვატურობა (მგრძნობელობა)*	*5*
• *მსჯელობის ხარისხი: იდეების და / ან კონცეფციების ნათელი და ლოგიკური სტრუქტურა,*	*10*
ნაშრომის პრეზენტაცია ❖ ***ვერბალური მხარე*** *(სამეცნიერო საზოგადოების წინაშე აკადემიურ დონეზე ანგარიშის წარდგენა, რთულ შეკითხვებზე დასაბუთებული პასუხის გაცემა, კრიტიკულ ვითარებაში პროცესებისა და საკუთარი*	***20***

თავის მართვა, კომენტარების, შენიშვნებისა და რჩევების მიღება, საკვანძო საკითხებთან მიმართებაში სამაგისტრო ნაშრომში გაჟღერებული თეზისების დაცვა); ❖ ***ტექნიკური მხარე*** *(ვერბალურ მოხსენებასთან კონტექსტში ვიზუალური მასალის ადეკვატურობა და სინქრონიზაცია, დროის მენეჯმენტის ელემენტების დემონსტრირებით)*	***10***
ნაშრომის საბოლოო შეფასება	**100 ქულა**

სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე (სპეციალური ელექტრონული სისტემის - Turnitin-ის მეშვეობით) და დარგობრივი სამაგისტრო კომისიის მიერ პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა გადაიდება ერთი სემესტრით (აკად. საბჭოს დადგ. N51 (17/18), 9 თებერვალი, 2018).

დასაქმების სფეროები

- კერძო ეროვნული და საერთაშორისო ფარმაცევტული კომპანიები (მენეჯერები, კოორდინატორები);
- ავტორიზებული აფთიაქები, ფარმაცევტული საწარმოები, წამლის ხარისხის კონტროლისა და სტანდარტიზაციის ლაბორატორიები;
- ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების საჯარო სამსახური;
- მულტიპროფილური სამედიცინო დაწესებულებები (ფარმაცევტ-კლინიცისტის სტატუსით);
- სამედიცინო სადაზღვევო კომპანიები;
- სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრები (ექსპერტ–კრიმინალისტები);
- განათლების სისტემა, უნივერსიტეტების და სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტების სხვადასხვა სექტორები და ა.შ.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

ფარმაციის მაგისტრის მომზადების პროცესი უზრუნველყოფილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტებით – პროფესორებით, ასოცირებული და ასისტენტ–პროფესორებით (იხ. დანართი 2), რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება გრიფით, პედაგოგიური და სამეცნიერო–მეთოდური მუშაობის გამოცდილებით და პუბლიკაციებით სამედიცინო ან ფარმაცევტული პროფილის საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში. სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება შემდეგი მატერიალურ–ტექნიკური რესურსის გამოყენებით:

- უნივერსიტეტის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სალექციო–სასწავლო აუდიტორიები;
- სასწავლო კურსების შესაბამისი პროფილის ლაბორატორიები;
- აწსუ-ს ბიბლიოთეკა, I, II, III და XXII კორპუსების სამკითხველო დარბაზები; (სტუდენტების განკარგულებაშია უახლესი სასწავლო–სამეცნიერო ლიტერატურა და უნიკალური ელექტრონული სამედიცინო ბიბლიოთეკა);
- ფარმაცევტული კომპანია "PSP"–ს საფთიაქო ქსელი (მემორანდუმის საფუძველზე);
- ფარმაცევტული საწარმო "GMP" (მემორანდუმის საფუძველზე);
- ფარმაცევტული კომპანია „იმპექსფარმი" (მემორანდუმის საფუძველზე)
- სამედიცინო კორპორაცია „ევექსი" (მემორანდუმის საფუძველზე);
- შპს „ნეოფარმი+"(მემორანდუმის საფუძველზე);
- შპს „მწვანე აფთიაქი" (ხელშეკრულების საფუძველზე).

სამაგისტრო პროგრამა „ფარმაცია“
სასწავლო გეგმა: 2020-2022 სასწავლო წელი

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი				დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	
				აუდიტორული	შუალედ. დასკვნითი გამოცდები							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაცია –1	5	125	45	3	77	1/2/0/0	5				-
2	ფარმაკოგნოზია –1	5	125	45	3	77	1/0/2/0	5				-
3	ფარმაცევტული ტექნოლოგია –1	6	150	45	3	102	1/0/2/0	6				-
4	ფარმაცევტული ქიმია –1	5	125	45	3	77	1/0/2/0	5				-
5	უცხო ენა	5	125	45	3	77	0/3/0/0	5				-
6	სოციალური ფარმაცია, ფარმაკოეკონომიკა	4	100	30	3	67	1/1/0/0	4				-
7	ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაცია –2	5	125	45	3	77	1/2/0/0		5			1
8	ფარმაკოგნოზია –2	5	125	45	3	77	1/0/2/0		5			2
9	ფარმაცევტული ტექნოლოგია –2	5	125	45	3	77	1/0/2/0		5			3
10	ფარმაცევტული ქიმია –2	5	125	45	3	77	1/0/2/0		5			4
11	სამეცნიერო წერის საფუძვლები	3	75	30	3	42	1/1/0/0		3			
12	ფარმაკოთერაპია –1	5	125	45	3	77	1/2/0/0		5			1
13	სასწავლო პრაქტიკა ფარმაცევტულ ტექნოლოგიაში	2	50	-	-	-	-		2			9
14	ფარმაკოლოგია, კლინიკური ფარმაცია –3	5	125	45	3	77	1/2/0/0			5		7

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი				დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	
				აუდიტორული	შუალედ. დასკვნითი გამოცდები							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
15	ბიოგენური წამლების ტექნოლოგია	5	125	45	3	77	1/0/2/0			5		7, 8, 9
16	ფარმაცევტული ქიმია –3	5	125	45	3	77	1/0/2/0			5		10
17	ფარმაცევტული ბიზნესის მენეჯმენტი და მარკეტინგი	3	75	30	3	42	1/1/0/0			3		6
18	ფარმაკოთერაპია –2	5	125	45	3	77	1/2/0/0			5		12
19	სასწავლო პრაქტიკა ფარმაცევტულ ქიმიაში	2	50	-	-	-	-			2		16
20	არჩევითი მოდული: ➢ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ➢ ტოქსიკოლოგიური ქიმია, სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზა; ➢ გერიატრიული ფარმაკოლოგია და პოლიფარმაცია; ➢ ევროპის ისტორია (XVIII-XX საუკენე) ➢ აკადემიური სწავლის უნარ-ჩვევები	5	125	30	3	92	1/1/0/0			5		-
21	**სამაგისტრო ნაშრომი**	30	750	30		720					30	1-18
	სულ	120	3000	717		2283		30	30	30	30	